

გაზეთის ფასი

გაზეთის ფასი: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მან., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტე მათრე, ერთი თვით — სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: ВЪ ТИФЛИСѢ, ВЪ РЕДАКЦІИ ГАЗЕТЫ „ДРОБЯ“.



ხელის-მოწერა

თფილისში: ბაზეთის „დროების“ კანტორაში მათთანში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ბაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ: ВЪ ТИФЛИСѢ, ВЪ КОНТОРУ ГАЗЕТЫ „ДРОБЯ“.

რედქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიანოვის სახლებში.

ქანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მედინაზე, შაბუროვის სახლებში.

შ ი ნ ა რ ს ი:

საქართველო: თფილისი, 14 ივნისს 1874 წ.—წერილი ამბები—„დროების“ კორექტორი—სპარსეთელი ქართველის წერილი—პასუხი მესამეპირისაგან—უცხო ქვეყნები: საფრანგეთი—პარიჟელი ქალი—ნარევი.—განცხადებანი.

საქართველო

თფილისი, 14 ივნისს 1874 წ.

424 №-ში ჩვენ გამოაცხადეთ სურვილი, რომ კარგი იქნება ჩვენში წერა-კითხვის გამრავლებელი საზოგადოება შესდგებოდეს. ჩვენ ისიც ვთქვით, რომ ამ საზოგადოებამ მომეტებული ყურადღება უნდა მიაქციოს სახალხო წიგნების და სხვა და სხვა სახელმძღვანელოების გავრცელებას. ეჭვი არ არის, რომ ამ ნაირი საზოგადოება რაც კი შეიძლება უფრო ადრე უნდა შესდგეს, რადგანაც ეს ძრიელ საჭიროა. ხალხი იმისთანა მდგომარეობაშია, რომ ამხელდ უფრო ნათლად ვერას დროს ვერ გამოაცხადებს თავის სურვილს. შევლავნ და ყოველთვის გვესმის ჩივილი: „რა ექმნათ ან რაც არ ვიცით რა უნდა ვასწავლოთ ემაწვილებს, რა უნდა მივსცეთ საკითხავთ, რა წიგნით ვინ სწავლავდეთ და სხვა... ან არა და, რა უყოთ ამ ჩვენს შეილებს, ასე ცუდათ სწავლობენო, ვერც გიმნაზიაში ხეირობენ, ვერც ოჯახში, როცა მასწავლებელს დაუქირავენ“ და სხვა... ამ ცუდ სენს მოვსაბობთ, რასაკვირველია, როცა ჩვენს შეილებს წესიერ სწავლას მივსცემთ, ე. ი. როცა ჩვენი ემაწვილების სწავლა არა უცხო ენაზედ იქნება, უკეთ ვთქვათ, ემაწვილებს თავდა პირველად უნდა ესმოდეს, რას სწავლობენ, რისთვის სწავლობენ; სწავლა სასიამოვნო, საყვარელ გონების წრეთან უნდა გახდეს და არა ამწაქებულ, საზიზღარ საქამადად. ჩვენც ერთი იმათგანი ვართ, რომელთაც შკოლა ჯოჯოხეთსავეთ სძულდათ, მასწავლებლის ყოველი სიტყვა აღონებდათ, გულს უკლავდათ, შკოლის დახუთული ჰაერი ყოველს ენერგას, სიცოცხლეს უხშობდათ. მითხარით ერთი ისრეთი არსება, რომელსაც მისი ემაწვილობის დრო ბნელს და სამწუხარო სურათს არ წარმოადგენდეს? მაგრამ ესლა, როგორც ხედავთ, ჩვენი წასრული ძრიელ განზორბებულია. რაც მოხდა მოხდა და ესლა ვინც კი გაიკაფა გზამ უდაბურ ტყეში, ტყვილათ რათ უნდა გაეჩრდეთ? ნუ თუ ჩვენი ვალი არ არის, ჩვენს მომავალს რაც შეგვიძლიან უფრო შნო მივცეთ? ხომ ვხედავთ, როგორ დალა, დამძალდა ყველა ჩვენი დროს წარმომადგენელი, იმათ აღარც ენერგია აქეთ, აღარც გონების გამჭრიახობა, აღარც ძალი! მადაეღეთ თვალი თუ რას მიეღებ-მოეღებინ: ზოგი სიბ კლდეს ეპოტინება, ზოგს ხეხსეღ დაუბჯენია ფეხი და ფიქრობს იქ გაუმაგრდეს საშინელს წარღვნის გვარ ნიაღვარს. სხვა აღარაფერი დაურჩათ და მოსდგომიან ერთ-

მანეთს: ძმა ძმას უჩივის უშვერი სიტყვისათვის, მამა შეიღოს ღალატობს, დედაც შეიღოს იძულებს, დილით საღამომდის სამსაჯულოას კარებს თავს ანეთქენ! მაგრამ საზოგადორო, როგორც ვხედავთ, სიკვდილის კაცი ვერას დროს ვერ ასცილდება. ძარგი ხანია შეორე დროს მოახლოვება დაქრანალამ, მათთვის დიდი ხანია განსეტყვებული სუღარები აწყვიდა აკლდამაში, და თუ კიდევ უღვიათ სული, რასაკვირველია, ეს იმისთვის რომ ბარემ წრფელი გულით მოინანონ თავისი წასრული. რომელი უსინიდი-სო ახალგაზდა იქნება, რომ ეს სურათი მოიგონოს და კიდევ ხელდაკრეფილი თათქარი-ძესავით ბუზებს თელა დაუწყოს! არა, ჩვენ იმდენათ იმედ—დაკარგული არა ვართ, რომ ეს ჩვენს ახალგაზდას მივაწეროთ. მაგრამ საუბედუროთ ნამდვილი ცხოვრება საშინლად დამწუხრებულ დროთ გვეჩვენება, გვეჩვენება მიტომ, რომ ვხედავთ, რაც გვეკრია, რაც უნდა გვექნდეს, რასაც უნდა ვეღვტოდეთ და არ საიდგან არ ჩანს კმაყოფილება. რომ შეიძლებოდეს უწიგნოთ შკოლების დაკეთება, აბა რა საჭირო იქნებოდა წიგნების ბეჭდვა? რომ ახალგაზდას არ შეეძლოს შრომა, ვინ მოსთხოვდა მას? საქმე იმაშია, რომ უშკოლოთ ხალხის განათლება არ მოხერხდება, შკოლები უწიგნოთ არ წარმოიდგინება, წიგნები არაოდეს არ გვექნება, თუ არ ვიშრომეთ. რაც შეეხება იმას, თუ როგორ არის მოხალისებული ჩვენი ხალხი სწავლაზედ, ფაქტები ამას გვიტყვენ, ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენს თვალწინ ბარე თორმეტი სხვა და სხვა წიგნები დაიბეჭდა, ზოგი სახალხო, ზოგი შკოლების სახელმძღვანელო და ამ წიგნებში ორი სამი გამოცემა სრულებით გაიყიდა, ასე რომ ესლა ხელმეორედ აპირებენ იმ წიგნების გამოცემას. ამას გარდა მიიღეთ მხედველობაში, რომ უბრალო ვაჭრები, რომელთაც ფულის მოხვეჭის გარდა არაფერზედ არ მუწყედებთ გონება, ბეჭდვენ სხვა და სხვა სახელმძღვანელო წიგნებს; წინასიტყვაობაში ზოგიერთი კიდევაც ბეჯითად ამბობს, რომ მისი სახელმძღვანელო მალე გაიყიდება და მეორე გამოცემასაც ეღირსება მისი ნაჯღაბნი. ასეთია მაგალითად უფ. ტერ. მამბრიელიანის, თვით მასწავლებელი რუსული ენისას, უფ. როტინიანის, ფრანკოუსული ენის თვით მასწავლებელი წიგნი, რომელიც ორი წელიწადი არ გასულა მას აქეთ და მეორეჯელ კი გამოიცა. რამდენი სხვა ფაქტებიც მოიძებნება ამის დასამტკიცებლათ. და ეს შემთხვევებია, რომ ჩვენ გვაჩერებს და ვამბობთ ჩვენ ღონი აღარ შეგეფერის და მიუცილებლათ საჭიროა, რომ საზოგადოება შესდგეს! აბა ერთი ესა სიტყვით, რომელი გონიერი თვალი შეხედავს გულ გრილათ ამნაირ წიგნს, როგორც „თვით მასწავლებელი“ ტერ. მამბრიელიანისა? ამაში უნდა დაიკარგოს ჩვენი ხალხის ფულები? მერმე იცით, რომ ამ წიგნის ფასი ექვსი შაურია? განა ასრე დაუსჯელათ უნდა მოატყუილონ ჩვენი ხალხი? მარწმუნებთ, ვინც თვალეზ ახეული შეესტკერით აწ-

მყოს, რომ ამნაირი წიგნები წმინდა საწამლაგია ჩვენი ახალ მოსწავლეთათვის, ჩვენ არ უნდა მივსცეთ გზა ამნაირ აფერას და ყველა ღონისძიება უნდა მოვიხმაროთ, რომ ამნაირი შემთხვევა არ განვირდეს ჩვენში. წინა სტატიაში ჩვენ მივაქციეთ მკითხველის ყურადღება რუსული გაზეთის „პეირის“ სტატიაზედ, რომელშიაც აწერილია შეძლების დაგვართ, თუ რა ცუდი გავლენა ჰქონდა ვაჭრებისაგან დაბეჭდილ წიგნებს რუსეთში; მაგრამ მაშინ არ ვაღმოვითარებინა ის ალაგი, და ესლა ვასრულებთ ამას, რადგანაც მრავალმა ჩვენმა მკითხველმა რუსული ენა არ იცის. „თუ ჩვენ სახალხო წიგნების ბეჭდვას ყურადღებას მივაქციეთ, ძრიელ სამწუხარო მოვლენა წარმოგვიდგება თვალწინ. სრულებით არ გვასიამოვნებს ამოდენა წიგნების რიცხვი. სამწუხაროდ ნახევარზედ მეტი იმგვარი კაცებისგან იბეჭდება, რომელთაც მარტო ვაჭრული ანგარიში აქეთ მხედველობაში, სხვაისრე არ აქცივენ ყურადღებას, როგორც ფულის მოგებას და უმეცარი ხალხის გაკარცვას. ჯერ სხვა და სხვა 112 გამოცემებისაგან, რომელნიც 800,000 ეგზემპლიარათ დაიბეჭდა, 650,000 ეგზემპლიარი ვაჭრებს ეკუთვნის. მართი სიტყვით უნდა გამოვტყუდეთ, რომ საეკულატორებისაგან დაბეჭდილი წიგნები უფრო დიდ ალაგს იქერენ სახალხო წიგნების მაგაზინებში, ვიდრე სხვები.“ „შესამჩნევია კიდევრომ ფულის მოყვარებმა პირველადე მოავლეს ხელი ხალხის მოთხოვნილებას, არსაიდგან არ გამოინდა მოწინააღმდეგე და ამისათვის არც ვასტრევიბათ, რომ ხალხის გონების წინმძღოლათ გამხდარიყენენ; ისინი არაფერს არ ერიდებოდენ, არაფრის არ სცხვენოდათ, ოღონდ კი ფულები შეეკრიბათ. სამწუხაროა კემპარიტად, რომ ამისთანა დიდი საქმე, როგორც ხალხის განათლება ამდენს ხანს სრულებით ამათ ხელშია და მოწინააღმდეგე კი არსად სჩანს.“ „აი, ამნაირად მწუხარებს ლიტერატორი რუსეთში, სადაც ათას ჯერ მეტი მშრომელია ვიდრე ჩვენში, ათასჯერ და ათი ათასჯერ მეტი საშუალებაა, სადაც კვლევაგოგია საკმაოთ შემუშავებულია და სხე. ჩვენ რა გვეტქმის ამის შემდეგ, ჩვენ რილასი იმედი უნდა გვექნდეს? ჩვენს თვალწინ ასრე აშკარათ გამოდის სხვა და სხვა წიგნები, რასაკვირველია, ვიწრო ინტერესისთვის და ჩვენ კი ამას გულგრილათ და აღუშფოთებლათ შეესტკერით. ამასთანავე მიიღეთ მხედველობაში, რომ ჩვენს შკოლებში სასურველი სწავლის წაყვანა ქართულს სახელმძღვანელო წიგნებზედ არის დამოკიდებული.“

დაუუძნება ფინანსთ მინისტრს კიდევ მოუხსენებია მართებელი სენატისთვის. — თფილის-ქალაქის ლაზარეთთან პირველის სექტემბრიდამ იხსნება საფერშლო შკოლა, მისაც ამ შკოლაში ემაწვილის გაზრდა სურს, თხოვნა და საჭირო დოკუმენტები თხუთმეტ აგვისტომდის უნდა შეიტანოს. — ქანეთში ძალიან განზირებულა წვიმები, ასე რომ პური, რომელიც მოსავლის უიმედობით ძლიერ გაძვირებულიყო, ესლა ისევ გაიაფებულია. — თელავის საქალგობა სასწავლებელზედ თავად აზნაურობა ყოველწლივ ორიოთასს მანეთს ხარჯავს და ის კი ვერ მოუხერხებია, რომ სასწავლებელში ქართული ენა ხეიოიანად ასწავლებინოს. ამბობენ, რომ იმ სასწავლებლიდან გამოსული ქალები ზოგი ძლივს ლაპარაკობს თურმე ქართულად ჩვენს გარდა ყველას სასირცხვოდ მიაჩნია, რომ ოჯახში მიინც თავის სამშობლო ენაზედ არ ლაპარაკობდენ. — სომხურს გაზეთს „მედუს“ სწერენ ახალ-ქალაქიდან, რომ იქ ერთ ქართველს თავადს მარხან-მოურავს თავისი ნაციხარი სომხების ეკკლესიისათვის შეუწირავს. მს ჩვენ მოგავგონებს ერთს მდიდარ მებატონე რუსს, რომელმანაც თავისი ქონება შეეიცარიას სასწავლებლის გასაკეთებლად უანდრმა და ის კი ვერ გაიხსენა, რომ მის საკუთარს სამშობლოს უფრო სჭიროდა ამ გვარი შემწეობა. ქელა ხარი თავისთვის არიყო სხვას ბუზს უფერებდაო, სწორეთ ამ რუსეთელ მებატონეზედ და ჩვენს მარხან-მოურავზედ ითქმება, უფრო რიგიანი არ იქნებოდა, რომ უფ. მარხანოვს საკუთრება ქართული შკოლისათვის შეეწირა, იკკლესიას სხვა შემოსავალიც ეყოფოდა. და თუ მაინცა და მაინც ეკკლესიაში საუკუნო მოხსენება სურდა, ისევ ჩვენი ეკკლესიისათვის შეეწირა, — ამას არავინ არ დასძრახავდა. — „დროების“ კორექტორი სპარსეთელი ქართველის წერილი — პასუხი მესამეპირისაგან — უცხო ქვეყნები: საფრანგეთი — პარიჟელი ქალი — ნარევი — განცხადებანი. — მარხანოვს, (ს. მ.) აგერ შესრულდა მას აქეთ ცხრა წელიწადი, რაც მმართველობამ სასოფლო სასამართლოები დაწესა ყოველს სოფლის საზოგადოებაში და მისცა წესდების წიგნები, თუ როგორ და რა რიგათ უნდა შეადგინონ მათ სასამართლო და აღმოიჩინონ თავიანთი საზოგადოებიდან მოსამართლე პირნი, ესე იგი, მამასახლისი, და მისი თანა შემწე, სუდიები და მათი კანდიდატები და ისე აწარმოვონ საქმეები იმავე წესდების წიგნების საფუძველზედ. მაგრამ ეს ჩვენი უ. მამასახლისიები და სუდიები ძალიან ბოროტათ თურმე ხმარულობენ თავიანთს უფლებას და ამისგანა მრავალი საჩივრები სდგება მამასახლისისა და სუდიებზედ, ასე რომ იშვი-

წერილი ამბები

— მძისის მსესხებ-შემნახელ ამნაგობას გარდა, კიდევ მალე დაიწყებს ჩვენში ოპერაციებს მთიანეთის ამნაგობა, რომლის

თათ. იქმნება, რომ კერძოში ერთხელ საჩივარი არ შევიდეს მათზედ ნაჩივრითან. ამას წინეთ ოცდა ერთს წარსულს აპრობირებს, სალამს ხანხელ, იქმნებოდა რეა საათი, ეი-დევი ჩემი საღვთის და სიყვარული და შეეცქეროდნ ბოროს ქალაქის გზაზედ მომავალს მგზავრებს.

დაინახე, რომ ამ გზაზედ ერთი ჯარივით ხალხი მოდის. მეგონა ოსეთის მილიცია შეუკრებიან მეთქი. მცირედს ხნის უკან მოვიდნენ აქ ჩემის სახლის წინ მახლობლად ეკლესიის მოედანზედ; მაშინ უფრო გასტერებით დაუწყე მე მათ ყურება. მანხე, რომ უფრო და უფრო ემატებოდნენ. რაედნისამე ხნის შემდეგ სულ ერთად შეიკრიბნენ ეს მგზავრნი და დაიწყეს ერთმანერთში ჩირობა ამ მოედანზედ. ზოგი ამბობდა, რომ საბძელში დავხვდეთ, ზოგი იძახდა აი ამ სახლის პატრონს ესთხოვოთ და აგებ დავაყენოთ. ეს ლაპარაკი რომ შემოქმნა, ჩამოვედი აიენიდან ძირს ამ მოედანზედ და დაუძახე ერთს მათგანს, მინდოდა რა ამგვარი მათი ვინაობა და ამას გარდა თუ რა შემთხვევის გამო შეგროვილიყვნენ ასე ერთმანეთს ამოდენა ხალხი. ეს კაცი რომ წამოვიდა ჩემსკენ, მაშინ სხვათა ერთმანეთს იტყობა და მოვიდნენ ჩემ წინ და მითხრეს ერთ ხმად „ჩინსტე აღდგა, ყმაწვილო!“ მაშინვე მეც თავი დაუქარ და მიუგე „ქეშმარიტად აღზღა!“

ამათ მე კითხვა აღარ დამაცადეს, რადგანაც ღამდებოდა, ფრცხლავ მთხოვეს: თუ შეიძლება დავაძლავ, ამაღამ ბინა გვიბოძებოთ, გაქირავებული ხალხი გახლავართო. ამ თხოვნაზედ აღარ ვპოულობდი და უთხარ, შეგიძლიან ჩემთან დაბინავდეთ მეთქი და უჩვენე მათ ბინა. რადგანაც უფრო კარგათ შეეკრებოდნ ამათ შემთხვევას, ნამეტნავათ ამისთვის უფრო მივეცი ჩემთან ღამის განსასვენებელი ბინა.

როდესაც დაბინავდნ და დასვენეს ამ გზისგან დამაშვრალთ ხალხთ, მაშინ მეც მივედი მათთან, აეუნთე სანთელი და დაიწყოვენი მათ შორის ლაპარაკი. აქ რასაკერეოდა ესენი უფრო გულ-დამშვიდებით მოპყნენ თავისი მგზავრობის შემთხვევას. მსენი იყვნენ ცხინვალს წემოთ სამაჩაბლოს სოფლებიდან და მიდიდნენ ბოროს უეზოდის ნაჩივრითან. ხოლო მიზნი მათი მოგზაურობისა იყო იმათი საზოგადოების მამასახლისი, როგორც მინაზო მე ერთმა მათგანმა. როგორც ლაპარაკი შეენივნე, ეს კაცი ხნითაც და სიტყვითაც პირველი პირი იყო. ბოლოსაც გამოჩნდა, რომ სწორეთ ის იყო მათი მოთავე და წინამძღვარი.

აქ ამან გააჩუქა ყოველი პირნი და თვითონ დაიწყო:

„რადგანაც ჩემის მოგზაურობის მიზეზი გნებათ შეიტყობ, ჩემც მოგახსენებთ ჩემის საჩივარს, მაინც ღამე დიდი გახლავთ და დროებასაც გავატარებთ“ ჩემს ვახლავართ ორის სოფლის საზოგადოების ხალხნი და ჩემნი მოგზაურობის მიზეზიც ეს არის, რომ ჩემს ვახლავართ ბოროს ნაჩივრითან ჩემს მამასახლისზედ საჩივრულად; მე ვიცი თქვენ აქ იმას მიბძანებთ, თუ ცუდი და უფარგი იყოვო, რათ ამოიჩივოთ და თუ ამოიჩივოთ, მაშ რადათ უჩივოთ? მანა არა! როდესაც ჩემის სოფლებიდან მამასახლისს და სუდიებს ვირჩივით მთავრობის განკარგულებით, მე მაშინვე უთხარი ამ ხალხს: მს უმაღლესი მთავრობის განკარგულება საზოგადოათ ჩემს დაბალ ხალხთათვის დიდი მოწყალება მეთქი. ჩემნი ძველი დინამებები და მეტატონენი გეტანჯამდნ აქამომდე საწყალ გლეხებსა, ეხლა, ლეთის მადლით, ღიღამ ხელმწიფემ მოიღო ჩვენზედ თვისი წყალობა და განგვათავისუფლა იმათ მოწინასაგან და მოგვეცა ჩემნი ტოლნი პირნი მოსამართლეებად. ისინიც კი უნდა იქმნენ ჩემის აღმორჩევითა მეთქი. მსეც უნდა გავმინჯოთ რის ნიშანი არის მეთქი? იმას, რომ ჩემს უფრო კარგათ ვიცი ჩემს საზოგადოებაში ვინ უფრო სენილისიანი კაცია და ვინც მოსამართლობაში სინილისიანათ მოიქცევა და ხალხს აღარ შეაწყუბებს და საჩივარსაც უფრო კარგათ სინართლით განარჩევს, ვიდრე სხვა ქვეყნიდან მოსული დამბეგვები მეთქი და ჩემნი არ გვესმის ჩემის საზოგადოებასა ქვე მეთქი. აგრე ეს მესამე ჯერ არის, მთავრობა გვიბრძანებს, რომ აღმოვიჩიოთ მოსამართლე პირნი და აბა რას აპირებთ მეთქი. მს ორი ხელობა იყვნენ აღმორჩეულნი და სულ იმას ემდებოდნ მეთქი, რომ მამასახლისი ცუდად იქცევა და სუდიები არ გვივარგანან და სულ ქრთამისაკენ უჭირანთ თვლიო. მსლა მაინც ვეცადნეთ მეთქი და კარგი სინილისიანი კაცები ამოვარჩიოთ, რომ მასუკან საჩივრულათ არ გავიხდეს საქმე და არ ვიძახდეთ, თუ მამასახლისი ბოროტი კაცია და ბოროტათ იქცევა, ქრთამებს იღებს, ქვრივს და ობოლს

აწიოკებსო. აი ხმად ხელმით მეთქი, მთავრობამ ორისა და სამის თვის წინათ გამოვიცხადათ და გავთვამოც სწერენ, რომ ეცო-ღინით და კეთილ სამეცადის პირნი აღმოვიჩიოთ. აქამოდ თუ ხამათ ვიყავით და არა ვიციოდითრა, ეხლა ხომ ყველამ გავიგეთ, ეხლაც რო კარგათ არ მოვიქცეთ, მაშინ ჩემს ვახლავართ ვიქმნით მეთქი. ორგემ, თუ საჩივრულათ გავიხადეთ საქმე ჩემის დაუღვევებლობით, მაშინ უეჭველია მთავრობა არ შეგვიბრძოლებს, და ბოლოს ისევე ჩემს დაგვებს და საყვედურსაც ჩვენვე მივიღებთ მეთქი და გვეტყვის, თუ რომ მაგისთანა ბოროტი იყო, რათ ამოიჩივოთ, ნუ თუ ვერ იცნობდითო, თქვენი ძმა და მე-ბოროტი იყოვო! ამხედ რაღა პასუხი უნდა მისცეთ მეთქი?

მაი შენ მტერის, რაც მე ამათ ამდენი ლაპარაკით ვერა შევავარგო! საკვირველია ღმერთმანი, ჩემნი გლეხების ამბავი: გაგვიჭირდება, ღირალს შევიქო, თუ არა და გვეჩემდებოთ, იმას კი არა ვფიქრობთ, თუ ბოროტი რა მოგვივა. მსლა მორბიან და მეძახიან. გვიშველო ჩამეო. აბა რა უშველო, თუ ღმერთი გრწამს! თუცა კი ძალიან ბოროტათ იქცევა ეს ჩემნი უ. მამასახლისი, მაგრამ ჩემი სინილისი ისევე მე მატყუენებს, რას პირით უჩივოთ, ჩემი ამორჩეული კის არის და... მაშინ ყველა იმას იძახდა: ვეძალიან კი კაცია, ბატონთან ნამყოფიო, ყველა კარგათ გავგებოთ და კარგათაც მოიქცევაო. ამ სიტყვებზედ ყველანი დავმოწყნენ. მსლა არ გავიწყრეს ღმერთი, ეს იმამ სახლისებს და მოსამართლებს არა სჯობდეს; იმათ ემდებოდა, როგორც სასოფლო-სასამართლოს წესების წიგნში სწერია; მაგრამ ამასავით წერილსა და ობოლსკი არ აწიოკებდნ მაინც და კაცის რჩევაც იყურებოდნ. მს ერთი რაღაც მეტისამეტი ლეთის გარეგანი შეიქმნა ამ მამასახლისობაში. ამას კაცმა ვერა შეასმინარა, აქი რომ საჩივრულად მიდიდნ ხელებში უტყერის, მოაქვს ჩამე, თუ არაო, თუ არას მისცემ პასუხსაც არ გაღიხებს, მერე, ცოტასაც ხომ არ გაჯერებს, მინამ სუთი და ექვსი მანეთი არ იუოს ხელსაც არ მოგიკიდებს, მაშინაც კიდევ მდურებოთა. ქვრივსა და ობოლს ხომ სრულებით ყურს არ უგდებს, მაშინვე იმას შემოუტყვის, რა მოგიტანიათო, და მორბიანთო? თქვენ არ იცით, ასეა ნათქვამიო: „ცარიელი კოჭი ხანას დახვესო“? არა თქვე მამაცხობებულეობა აგლიათ თავენი და ცარიელიც გამოიბიანართო, ასე გვგონათ თქვენ მუქი იუოს სამართლის მიცემა და განაუძახებს კარში. სულ რომ ცოტა გითხრა და მცირედ ჩავაგლო კენჭი კიდევ შეადგენს მისგან აღებული ქრთამები თვათ ორმოცსა, თორემ ოცდა ათი თუმანი ხომ ნამდვილია. გეტლის ფულს ხომ ვილა იტყვის, ისიც რომ ვინაგარნიშოთ საღ ვევა სხვას ნუ რას იტყვი, სუდიებსაც არ ანებებს უბრაველიის ბეზედს, რომ რაც გადაწყვიტონ და კოპია მისცენ მოჩივარს დაუბეჭდონ, მანამ მანეთს არ გამოართმევენ. აბა რა ხელი აქვს იმას უბრაველიის ბეჭედთან, საღაც ცხადთ სწერია წესლებში, რომ სუდიების გადაწყვეტილებაში არ უნდა დაესწრას მამასახლისიო, თუ თვითონაც არ არის ამორჩეული სუდის თანამდებობაში; ანაოც თუ ბეჭედი იმას ჰქონდეს, მაგრამ ერთ ყმაწვილს რომ უკითხეს, რა გატერებსო? მასუკან იმან უთხრა „გამიღისო და ვტერიო“ იმისი არ იუოს ესეც ისე ჩადის, რომ მოქმელი აღარა ვინა ჰყვანდა და როგორც უნდა ისე ხმარულობს თავის უფლებას. მეც გაჯერებულე ყური აღარ უგდებე, რაკი ამორჩევის დროს არა დამოჯერესო, მაგრამ, რა აღარა მომიხვეწეს რა, ამხედ არის ნათქვამი „მეტის-მეტი ოპო ხარს გააგებესო“ იმისი არ იუოს, რომ შემაწუნეს მეტის-მეტათ, ადექე და წამოვასხი ეს ორი სოფლის ხალხი და მივიღეო ქ. ბოროტი, რომ ნაჩივრის მოგახსენო; იქნება გვიშველოს რამე და გამოცელოს, რომ ამხედ მეთათ აღარ აღმოვიჩიოს ჩემნი სოფლების საზოგადოება. რა ვიცი თუ ყველათვის კაცი ერთ გულსა და ფიქრზედ ხომ არ იქნება, იქმნება, რა გულზედ შეხედეს ვინმე და ერთი უბედურება ან თავის თავს მისცეს და ან იმას და ცოდვისა ვიკითხოს, მისთვის მეტიც აღაღწეო არ არის, უნდა ეთქვოდ, რომ გავაშრობს ამ თანამდებობიდან. ამით დაასულა თავის ზღაპრები მათმა წინამძღვარმა ჩემს შორის.

ამას შემდეგ ხალხს ეანაში მოერთვა ამ სოფლის მცხოვრებლებიდან. ზოგს ამოთვანს ამ სოფელში ნათესავი ჰყოლოდა. მაშინ მეც

რასაკვირველია, რაც შემესწრო ისე გაუმხანინდელი. აქ, როგორც მოგახსენებთ საქართველოს ჩვეულება, რაკი გოგრა გაუხურდათ ღვინისაგან, შემოსძახეს სიმღერა „არ ვარცა კაცი უმტერო, არც ავრე მტერ მიხეული“, ეს სოფელი ასეთია და ყოველთვის ასე უფლია“ და „ღმერთო შენ დაგვიმორჩილე ჩემნი მტერი და ორგულია“ — ამასთან კიდევ განაგრძეს სხვა და სხვა სიმღერანი, ასე რომ ამათმა ნაღობამ და სიმღერის ხმამ განელო სამ სათს ნახევარს და შემდეგ დაიგანაშეს და გამოიფიცნენ, ვინც ჩემგანმა ერთმანეთს პირი უქციოსო, თაგინათის წესით დარისნეს ერთმანეთი წმინდის სახელთ, ძილად მისვლის დროს გამოვსალმდნ და გავიდნენ იქსადაც გამხადებული იყო მათთვის ოთახი. შუალამის შემდეგ ოთხ საათზედ გაიღვიძეს კი. ბოროსკენ გავმგზავრენ. მე მოამბე მოხუცს ესთხოვე რომ ამოვლახედ ვენახე და შეეკრიბნენ ბინა თაგინათი საჩივრის კმაყოფილება. მაგრამ, ჩემდა საუბედუროთ, აღარ მაცნობა, მხოლოდ გარეშეთ შეეიტყვი, რომ ნაჩივრის დაუბარებია მამასახლისი და ხალხი კი დაუთხოვინა და უთქვამს, რომ ადგილობრივ უნდა მოხდესო გამოძიება და როდესაც დაწერილებით შეეიტყობ, შემდგომი მაშინ იქმნება.

3. მ-3.

საჩინათელი მართლის წერილი.

მე გავიგონე ერთი პატრიცეული კაცისაგან, რომ წლებადღეს წელს თავი წაიღო ვახუშტისა, სულ შკოლა და შკოლა, ნეტავი მართალს და სარგებლიანს რასმხედლაპარაკობდნო. ამხედ დიდი ხანი ვიბაძე ამკაცთან. მე უთხარ, შკოლა ძალიან კარგი არის მეთქი ხალხისათვის, დიდი სარგებლობა მოაქვს, თან თავისუფლებას უმატებს, და თავის ცხოვრებას კარგად წაიყვანს. თუ კაცი სწავლაში კარგად გაიხსნა მეთქი, თითქმის სამშობლოს და ქვეყანასაც სარგებელს მოუტანს, არამც თუ მართო თავის თავს.

მე, შეღალატული შენ ჯერ არ გავიცივნი აქაური ხალხიო. მეც კი მაგრე მეგონაო, რომ ვინც ამეებსა სწერს, იმისი სახლობა სულ განათლებული და სწავლაში გასხნილები იქმნებიანო. მაგრამ ეხლა რომ გხედამ უკანასკნელი მიყრუებულნი თითონ ისინი არიანო. მსლა რომ მიხვიდე იმათს სახლებში, იმათმა ქალებმა უკანასკნელი ქართული ლაპარაკი არ იციანო, უფარვსად იმათმა ღებმაო. მსლა ისინი წამოდგომილან და საზოგადოებას უთითებენ დაბალ ხალხს, როგორ უნდა მოვიქცეთო, თითონ ერთს გროშსაც არ დახარჯვენ საზოგადოებაზე. ჩამდენსაც ჯამაგირს დიდს იზოგვიან იმდენს ცხოვრებას სხვა და სხვა ნაირად გარდაქცევენ, გამოიბლონჯებიან მოკლე კურტკებში და ჭრიჭინა წაღებში. მაშინ ისე გაიღვიძებენ თავსა თითქმის წინ ველარ მიაკი და უკანა ჩივანთ. რომელთაც საზოგადოების ან ხანის ხარჯით რამე უსწავლიათ, ისინი ეხლა ჩასცივებიან საზოგადოებას სხვანაირგაგლეჯ-გამოგლეჯისათვისაო. აბა გლეხებმა რის იმედით გამოართონ შკოლა და რის ხალხისით ისწავლან იმათმა შვილებმა? არც სამსახურში მიიღებენ და არც სამღვდლოებაშიო. რჩებიან კიდევ ისე უბრალოდ როგორც არიან. მიზნი? თქვენ თავისუფალნი არახართ, უნდა სახელმწიფო ხარჯი აძლიოთ თქვენაო.

მსენი მოკლეთ მოგახსენე ჩემო შკითხველო. ამ სიტყვებმა მე ძალიან და მაფიქრა და ღირსეულად მამაგონა ჩემი სამშობლო საჩინათო. რისთვის? იქაური ხალხის განთავისუფლებისათვის. ამას გარდა კიდევ იქაური სასწავლებისათვის. აქაურები საჩინათლებს გაუნათლებელეძახის; — იქ საჩინათში კაცს აღარჩიბენო. არ როგორ აღარჩიბენ. იქაური ხალხი სუყველა თავისუფალია, იქაურს ხარჯს აძლევს მამუ-

ლი. მისაც კი მამული აქვს იმისი ხარჯი, უნდა გარდხადოს, გუბერნატორთ უქმნესო. ევზირი, თუ ნემწიფე ანუ დამალი ხალხი, ამაში თანასწორია.

ახლა მოგახსენოთ იქაურს შკოლებზედ. საჩინათის ქალაქებში იმთენი შკოლები არის თითქმის. აქ ბაყლების ლუქნები იმდენი არ არის. ბაზრებში, მიყრუებულ ქუჩებში და მცხატებში, საითაც გაივლის კაცი, ნახავს მრავალს სასწავლებელს; იმ სასწავლებლებში სუყველანი, თაგინათ ხარჯით სწავლობენ და არა საზოგადოების ხარჯით. ღიღამდ წაიღენ შკოლაში, ისწავლიან და სალამოს შინ წაიღენ. შკოლაში ვისი შვილიც იუოს მიიღებენ, უფრო იხატებენ და კარგად ყურს უგდებენ მადლის გულისთვის.

პირველ შკოლაში ასწავლიან სარწმუნოების აღსნას, და აქ კურს დასრულებულებს მოაღებს ეძახიან. აქედამ ვინც კი მოინდომეს მერავე სასწავლებელში გადავა და იქ არაბულს ენას და სხვა საგნებს ისწავლის; იმათ უწოდებენ ახუნდას. აქეთ კიდევ მესამე სასწავლებელია მ შკოლებიდან არც ერთიდან შაგირდი არადროს არ გამოიჩივებო. მინც კეთილია თავის თავს არაგებს. მინც ანხლოა, თავის თავს აწყენს. არც არავინ გაიტანს შკოლიდან მოწობას, ოლოდ ახუნდებს მისცემენ ნებას, რომ სილა იკითხოს, რომელთაც სამართალი წინ აქეთ და არა ზურგთ უკან. იმათი სილა ის არის, აღდამიციემის ქალაქის დასამტკიცებლად, რომელსაც ისინი ხელს მოაწერენ და თაგინათ ბეჭედს დასმენ, მაშინ დამტკიცდება ისე, როგორც აქაური სულია. ამაშიაც ხომ არავინ არ დაახრჩეს საჩინათლებმა.

ღმერთმანი ძალიან საუცხოვო ქალაქია ეს მფილისის ქალაქი, თუ გამოიგონა რამაფულის მოსაგებლად უცხო ქვეყნის ხალხმა, თუ არა და აქაური არ გამოიგონებს და არც იკადრებს. აქაური ხალხი თუ მაიგონებს, ისეთს რასმეს მაიგონებს ცეკვა თამაშისათვის, რომელიც შკოლას მხოლოდ დროებით თუ შეეწევა. მს, ნამდვილია, შკოლას ერთი იმედი უნდა ქონდეს, საიღამაც უნდა შემოდროდეს გამოუღვევლად ფულები ყოველ წლივ. თუ კი საზოგადოებას სურს, შკოლა გამართოს, მე მოგახსენებ დროების მკითხველს, თუ რანაირ აღვივლად შეიძლება შკოლის გამართვა და იმისი კარგად წაყვანა. ამაშინ ამ ხვეით უბანში ერთი საჩინათელი აბანო. მაშინ მთფილისელები ვეღერ იტყვიან, ჩემნი აბანო კარგი არისო. იმ აბანოს ძალიან ცოტა რომ ესთქვათ, უკანასკნელი უკანასკნელი ათასი თუმანი იჯარა ექნება. მს ფულები მოგხმარება შკოლას. ამ ნაირად ძალიან კარგი შკოლა გამართება და უზრუნველად იქნება. ამისი სახე თვალწინ გაქეთ: შეხედეთ ჯერ ამ აბანოებში რამთენს იჯარას აძლევენ. თუ რომ ის გამართა, უეჭველია, პირველი ის აბანო იქნება, ხარჯიც ძალიან ბევრი არ მოუწდება. ამხედ უკეთესი და უზრუნველი შკოლის სასარგებლო მთელს ქვეყანაზედ არ იბოგება.

ალექსანდრე მნიკაშვილი

პასუხი მესამე პირისაგან.

მეგვრელ თქმა სჯობს არა თქმასა მეგვრელ თქმითაც და მავრება. მისი პატრონს აღარც თხის კულიო. (ძარბაზის ანდაზები.) დროების 425 ნომერში დაბეჭდილია უფალი ღვით აბდუშელი შვილის პასუხი, მეველესთან და ნიკოლოზ შიფთან. საშინ-



ერმა, ზემოხსენებულის წახედვით, სთქვა: რამდენათაღ რომელსამე ქვეყანაში ქალი უფრო თავისუფალია, უფრო დამოუკიდებელია კაცისაგან, იმდენათ ეს ქვეყანა უფრო წარმატებული და განათლებული არისო?

ჩვენ რომ ამ ზომით მოვიდომოთ ხალხების განათლებისა და წარმატების აწონვა, გამოვა, რომ ზოგიერთი ბარბაროსული ქვეყნები, სადაც ქალებისა და კაცების მოვალეობასა და უფლებებს შუა თითქმის არავითარი განსხვავება არ არის, ბევრათ უფრო დაწინაურებულნი ყოფილან, ვიდრე მათგან განსხვავებული.

მერაბაში არსად არ ფიქრობენ, არსად არ წერენ ისე ესრედ-წოდებულს ქალების ემანციპაციას, როგორც საფრანგეთში. ამერიკაში, ინგლისში, ბერმანიაში, შვეიცარიაში, თითქმის რუსეთშიაც, უფრო მომეტებულს ლაპარაკობენ, უფრო ბევრს სწერენ და მოქმედებენ ამ საგნის თაობაზე, ვიდრე აქ.

✕

ამ ორი წლის წინათ აქ ერთი „საქალაქო განვითარება“ გამოდიოდა, რომელსაც განსაკუთრებული განზრახვა ჰქონდა, რომ საზოგადოებაში გაეცრელებინა და აღეძრა ქალებისათვის სხვა და სხვა უფლებების მინიჭების სურვილი. მგონი, ერთ წელიწადს არ უტყობია ამ განვითარებას: თანამგობრდლები ვერ მოიპოვა და მიიცილა. „ქალების ლიტერატურა“ აქც მდიდარია, იმათი სასარგებლო წიგნები აქც იწერება და ითარგმნება; მაგრამ იმ აზრების განცხადებებს, სისრულეში მოყვანას, აქ ჯერ-ჯერობით თითქმის არაფერი არ ფიქრობს. ქალების საზოგადოებები, წრე აქ თითქმის სულ არ არის. ამას წინათ ერთ განვითარება იყო გამოცხადებული სურვილი, რომ ურიგო არ იქნებოდა, მუშა-ქალებსაც ისეთი საზოგადოებები შედგინონ, როგორც მუშა-კაცებს აქეთა; ეს სურვილი ჯერ-ჯერობით მხოლოდ სურვილად დარჩა.

პოლიტიკურ უფლებების მინიჭებაზე ხმის ამოღებასაც ვერაფერი ვერ ბედავს. საფრანგეთის პარლამენტებში, მგონი, ამ საგანზე არასოდეს არ ყოფილა ლაპარაკი. ბუშინ მერსალის ნაციონალურ პარტიში ხმის უფლებებზე იყო ლაპარაკი და როდესაც ერთმა დეპუტატმა თქვა, რომ „იქნება შემდგომში მარცხენა მხრის დეპუტატებმა პარტიში წინადადება შეიტანონ, რომ ქალებსაც მიეცეს კენჭის უფლებები“, — მთელმა პალატამ სიცილი და ხარხარი შექნა. არა თუ უკბილო ბებრებისაგან შემდგარი ეხლანდელი მერსალის კრება, თვით დაწინაურებული უკიდურესი რისპუბლიკელები ამნაირი, აზრისა არიან ქალებზე. „რაპკლიმა“ ამას წინათ ლექსით გამოთქვა თავის აზრი ქალებზე. საუბედუროთ, აღარ მახსოვს ეს ლექსი, მაგრამ აზრი კი ის იყო, რომ „ბუნებას ქალებისთვის ჩვენი (ე. ი. კაცების) დაბრმავებისა და აღტაცების ნიჭი მიუციაო, მეტი რა უნდათო!“

✕

მერც ერთი ქალი ვერ ამართლებს ამ უკანასკნელი სიტყვების სინამდვილეს, ისე როგორც პარიჟელი; და მეორეს მხრით, არც ერთ ქალს არა აქვს დედა-მამაზე იმდენი მართლა, კაცების აღმტაცო და დამაბრმავებელი თვისება, როგორც პარიჟელს.

ის არც ამერიკელსავეთ ჰქვია, არც იტალიელსავეთ ან ესპანელსავეთ გრძობით აღვლევებული, არც ქართველსავეთ ლამაზი. მის წინადადება პარიჟელ ქალს აქვს ისეთი თვისება, რომელიც ყველა სულდგმულისდამამშვენებელია საზოგადოთ და განსაკუთრებით

ქალებისა, და რომელიც, როგორც ამბობენ, ქალსდღეადიწის მარილად, უზუნაეს და დამამშვენებელ არსებად ხდის: პარიჟელ ქალს აქვს მწი, ლაზათი, სანდომიანობა, ჩვენი რომ იტყვიან.

ბუნებისა და ისტორიულ ცხოვრებას ის ცოცხალ, მახვილ, გამჭირაზე არსებად შეუქნია. ღრმა ჰქუის მაგიერად, იმას აქვს გამჭირაზე, მსწრაფლად მიმხვლომი გონება; ღრმა გრძობის მაგიერად—სიყვარულის სიციხველგ; სიმშვენიერის ნაცვლად—გრაცია, ლაზათი. პარიჟელი ქალის ერთი სიმახვილე ინგლისელის ათს ჰქვიანურ აზრს მირჩვენია; იმის ჭრთი წლის სიყვარული გერმანიელი ქალის ოცი წლის ღრმა გრძობასა და აზიუულ ოხერას სჯობია; იმის გრაციული, ლაზათიანი მისერა-მომხერა—ორმოცჯერ უფრო მალე მოიყვანს კაცს აღტაცებაში, ვიდრე ქართველი ქალის მხატვრული სილამაზე. იმის წაბლის ფერ მხტუნავ თვალებში სიცოცხლეა გამოხატული; იმის მოძრავ პატარა ტუჩებში გამბედაობა, ხანდისხან მომეტებული გამბედაობა და სიმახვილე; მთელი მის პირის სახე გამომეტყველება არის.

✕

თუმცა ეს ასეა, თუმცა საზოგადო თვისება საფრანგეთის და პარიჟელი ქალისა სიმსუბუქეა, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ აქ სხვა ქვეყნებზე უფრო ნაკლები გამოჩენილი ქალები იყვნენ ან ლიტერატურაში, ან პოლიტიკურ ცხოვრებაში ან სხვა რომელსამე წრეში. შორს რომ არ წავიდეთ, გაიხსენეთ: მაღამ სეინნი, როლანი, სტალი, შორჟ-ზანდ და სხვა, თუ ლიტერატურაში და თუ საზოგადო ცხოვრებაში გამოჩენილი ქალები. მაიხსენეთ ჩინებული ტაბი მამულის მოყვარული ქალისა—ჟანა დ'არკი. მოგონეთ ის უანგარო კეთილშობილური გრძობითა და სიყვარულით ანთებული ქალები, რომელთაც ასეთი მონაწილეობა მიიღეს ამ უკანასკნელ დროს მერმანიათან ბრძოლის დროს და კომმუნის დროს.

✕

ღან, ამ ერთის შეხედვით მსუბუქ, თავქარიან და მაჩალტე ყოფიქვეყნიან პარიჟელ ქალში, როცა გარემოება მოითხოვს, როცა საჭიროა, ოცჯერ უფრო მომეტებული თავგანწირულება, მაღალი გრძობა, კეთილშობილური განზრახვები და ღრმა სიყვარული იხატება და ჩნდება, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყნის ქალში, რომელიც დილიდამ საღამოდინ მუდამ ღრმა გრძობაზე, სიკვდილამდე სიყვარულზე, ქალის მოვალეობაზე და სხვა და სხვა ამ გვარ საგნებზე ლამაზათ ჰქვიკობს და გულ განსხვავებულ ოხრავს.

✕

მხლა ხან მიცვალებულ სტატისტიკოსმა ქეტლემ შეადგინა თიხიკური ტაბი „საშუალო კაცისა“. ამ გვართვე მორალური, ზნეობითი ადამიანის ტაბის შედგენა რომ შეიძლებაღეს, მე ვიტყვი, რომ პარიჟელი ქალი ზნეობითი ტაბია, მეტიკი, იმ ქალისა, რომელსაც „საშუალო ქალი“ უნდა ეწოდებოდეს, რადგანაც ყველა ქალის ნაკლებიანება და ღირსება ამშია თითქო მოგროვებული. ის ტაბია იმ განყენებითი წარმოდგინების—ქალისა—რომელსაც ჩვენ მიმზიდველ, მსუბუქ, მწიან, საყვარელ და ნაზ არსებად წარმოგვიდგება ხოლმე გონებაში.

ს; შესი.
პარიჟი, 3 ივნისს 1874 წ.

ნარევი

— ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზედ უფრო დიდი სიმდიდრის პატრონი უფ. ჯონსი ყოფილა, რომელსაც წელიწადში რვა მილიონი მანეთი შემოსავალი აქვს თურმე.

— საფრანგეთისა და ინგლისის მოქალაქეები ერთ საკვირველს თამაშს აპირებენ თურმე. მოთამაშენი ყოველ გამოსვლას ტელეგრაფით შეატყობინებენ ერთმანეთს. თითოეული გამოსვლისათვის სამი დღის ვადა არის დანიშნული. წამგებელმა მხარემ გამარჯვებულს ასი ათასი ფრანკი უნდამისცეს.

— ხონთქრის ჰარამში მოსამსახურებინათ ოთხი ათასი სული ქალი და კაცი არის თურმე. ღღეში ამ.თ სამას სამოცი ცხვარი უნდებათ. რა ხაზინა გაუძღვება ამისთანა ხარჯ!

— „ბირჟის უწყებები“ ამბობენ: ვინ იფიქრებდა თუ თ. ბისმარკი და მილიო ძასტელარი შთამომავლობით ურიები იყვნენ. მს ამბავი გამოუშვარებია, ერთ ლორდს, რომელსაც უთქვამს, რომ ურიები ქვეყნის მმართველობას თან და თან ხელში იბოჭვენო: ინგლისში ღიზრაველი მეფობს, ბერმანიაში—თ. ბისმარკი და მსპანიაში—ძასტელარი. მს ასე უთქვამს, მაგრამ ამ ამბის დამამტკიცებელი საბუთები კი არ მოუყვანია იმ დალოცვილს.

— ამერიკაში ასტრონომიები ერთი ევება ტელეკოპის, ღურბინდის, გაკეთებას აპირებენ. მს ღურბინდი მილიონი ნახევარ მანეთად ჯდება თურმე. შინა დასდგან თითქმის სამი ვერსტის სიმაღლე მთაზედ. ღურბინდის ბოლოზედ ჩასმული მინა გარდიგარდმო ოთხი მეტრი ანუ ხუთ ალაბზედ მეტი იქნებაო. მარსკელაფებს ოცდა რვა ოთასჯერ უფრო დიდად აჩვენებს ეს ღურბინდი. აქამდის ექვსი ათასჯერ გამადიდებელი ღურბინდი თუ ყოფილა, თორემ მეტი არა. მხლა რომ აკეთებენ იმ ღურბინდით კაცი პაწაწა ვარსკვლავს ასი მთვარის ოდნათ დაინახეს თურმე.

— ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებულ შტატების დეპუტატ-კრებას შეუდგენია გადაწყვეტილება, რომ ხალხებს შუა უკმაყოფილების მოსასპობელად უთუოდ მედიტორური მსაჯულება უნდა დაწესდესო.

განცხადება

თფილისის საეკრა ბანკის სამმართველო აცხადებს საყოველთაო საცნობად, რომ ბანკი 11 იანვრიდან 1874 წ. ცვლილების მოხდენამდის, ასის თავზედ შემდგვის ზომით იღებს და ისღის სარგებელს:

- იღებს**
- (1) სესხზედ იმ სარგებლიან ქალაქებში,
 - ა.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში იღებენ:
 - სამი თვით 6 %
 - მეცხი თვით 7 %
 - ბ.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში არ იღებენ:
 - სამი თვით 7 1/2 %
 - მეცხი თვით 8 %
 - 2.) სპეციალურს ხელად მიბარებულ ფულში.
 - სარგებლიანი ქალაქებში და ვექსილებში უზრუნველყოფილს 7 %

3.) ვექსილების დაცვლაში:
 სამი თვით 9 %
 ოცხი თვით 10 %

4.) საქონლის გირაოში:
 რომელიც მოტანილია 9 %
 რომელიც გაზაია 10 %

ისღის

- 1.) ხელად მიბარებულ ფულში 5 %
- 2.) შესანახად მიბარებულში
 - ა.) მოთხოვნამდის 5 %
 - ბ.) მეცხი თვით 5 %
 - გ.) მართი წლით 6 %
 - დ.) წელიწადზე მეტის ვადით მიბარებულში—

სამმართველოსთან მორიგებით.

სამთავროდ შესანახი ფული მიიღება: ყველა კერძობითი პირისაგან, მოვაჭრე საზოგადოებათაგან და კამპანიებისაგან, ეკლესიებისა და მონასტრებისაგან, სახაზინო და საზოგადოებრივ დაწესებულებათაგან, — ას მანეთზედ არა ნაკლებით.

ბანკში შენახული ფულების ბილეთები, ფინანსთ-მინისტრის განკარგულების თანხმად, ყველა სასამართლოებში და სახაზინო სამმართველოებში იჯარისა და შეკრულობის გირაოდ მიიღებინ: უვალო და ექვს თვემდის ვადიანი—მანეთი მანეთად და ერთის წლის და მეტის ხნით ვადიანი—ცოტა ნაკლებათ. შორიკო გამოგზავნილს შესანახს ფულს შემდგვი განცხადება უნდა მოჰყვეს.

ВЪТФИЛСКИЙ КОМЕРЧЕСКИЙ БАНКЪ

Отъ такогo-то
ОБЪЯВЛЕНІЕ

Препровождая при семь столько то руб. лей, прошу принять эту сумму на вкладъ для обращенія изъ процентовъ на такой то срокъ (или до востребованія, или на такихъ то условіяхъ) и выслать билетъ на мое имя или на имя тогого то, или на предъявителя, по такому то адресу.

Число, мѣсяць и годъ. Подпись и мѣсто-жительство.

ორის თვის ანგარიში.
ოქსისის გახმასხაველ—შამხანაველის
ალმა გიქამისა
 ესე იგი 1874 წლის 21 მარტიდამ 21-ს მაისამდის
 ამხანაგობაში ირიცხება წვერად ას სა-
 მოცდა სამი კაცი.

- ა.) შემოსავალი
- 1.) წვერთაგან შემოტანილი ს წილო ფული 994 ჰ. 20 კ.
 - 2.) სესხ, მიღებული ამხანაგობის-გან დამფუძნებელთაგან 1500 ჰ.
 - 3.) სარგებელი, აღებული გასესხებულ-
ლი ფულისაგან 68 ჰ. 10 კ.
 - 4.) სავაჭრო ბანკში შეტანილის ფულის
სარგებელი 8 ჰ. 40 კ.
- სულ შემოსულა 2,570 ჰ. 70 კ.

- ბ.) მასავალი
- 1.) მასესხებულა 1135 ჰ.
 - 2.) ახარჯულა გამგეობის გასამარ-
თავად 160 ჰ.
- სულ გასულა 1,295 ჰ.

- გ.) ქასსა.
- 1.) შული არის საეკრო ბანკში სა-
სარგებლოთ 8,07 ჰ. 60 კ.
 - 2.) ამ ფულს ერგება სარგებელი ბან-
კიდან 8 ჰ. 40 კ.
 - 3.) ნაღდი ფული არის კასსაში 459 ჰ. 70 კ.
- სულ 1,275 ჰ. 70 კ.
 გასავალი არის 1,295 ჰ.
- ერთიანი ჯამი 2,570 ჰ. 70 კ.

მაგეები ახ. მიხილ მადლოვი.
 ბრიგოლ მსწვეფი.
 ს. მსიბი 22-ს მაისს 1874 წელსა.